№ 181 მარიამობისთვე 25, ხუთშაბათი 1889 მარიამობისთვე 25, ხუთშაბათი № 181

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . . . | 10 — | 6 . . . . . | 6 — |
| 11 . . . . . | 9 50 | 5 . . . . . | 5 50 |
| 10 . . . . . | 8 75 | 4 . . . . . | 4 75 |
| 9 . . . . . | 8 — | 3 . . . . . | 3 50 |
| 8 . . . . . | 7 25 | 2 . . . . . | 2 75 |
| 7 . . . . . | 6 50 | 1 . . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართოთ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში ასპ. სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 27 მარიამობისთვეს.


## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრეველიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულ სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებელში მისაღებად.

სკოლის სადგომის შეკეთების გამო ბავშვები 2 სექტემბრამდე მიიღებიან დროებითს სადგურში, მეცუგოვის სახლებში, რომელიც იქვე ახლოს „ხიდის“ ქუჩაზედ (Мостовая улица) იმყოფება.

ზარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—5)


## რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრეველიშვილის პანსიონი იმყოფება.


## სასწავლებელი

რომელიც მთავრობის ნება-დართვით გავხსენი ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზე, მაჭავარიანის სახლში, ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და სხვა სასწავლებლებისათვის. თთვიური გარდასახადი არის ექვსი მანეთი. ბავშვებს მივიღებთ უეგზამენოდ ოც სექტემბრამდე.

სასწავლებელთან არის პანსიონი, სადაც შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება, როგორც ამ სასწავლებლის მოსწავლეთ, აგრეთვე გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. წლიური გადასახადი თითოეულ პანსიონერზე იქნება 250 მან.

სასწავლებელთანვე იქნება სარეპეტიციო კლასები საღამოობით, როგორც პანსიონერებისათვის, აგრეთვე იმ ყმაწვილებისათვის, რომლებიც გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში არიან, სუსტად სწავლობენ და დახმარება ეჭირვებათ.

სასწავლებლის მმართველი ს. ბ. ჯორჯიკია

19 აგვისტოს 1889 წ. (5—3)


## ახალი ამბავი

*** ოთხშაბათს, 23 მარიამობისთვის ღამეს, ამიერ კავკასიის რკინის გზის საფოსტო და სახალხო მატარებლით ბათუმიდგან ჩამობრძანდა ტფილისს სპარსეთის მინისტრ-პრეზიდენტი ამირი ჰაჯი-ჰუსეინ-ყული-ხანი ამ მინისტრს თან ახლავს თავისი ადიუტანტი ალი-ყული-ხანი და იმის გარდა ბათუმიდგან გამოაცილა იქაურმა სპარსეთის კონსულმა მირზა-ალი-ახბარ-ხანმა, რომლებიც დღეს, მარიამობისთვის 25 ს, საღამოზე, მიეგებებიან მის უდიდებულესობას ნასრ-ედინ შაჰს. ამათ გარდა რკინის გზის სადგურზე დაუხვდებიან მრავალი წარმომადგენელნი ქალაქისანი და საპატიო ყარაული.

*** ერთს ჩვენს თანამემამულეს, სახელდობრ თავად აბაშიძე-გორლენკოს, რომელიც პეტერბურგში სცხოვრობს, მთავრობისაგან ნება-რთვა აუღია, როგორც დეპეშით იწერებიან, რომ გაიყვანოს თავის ხარჯით რკინის გზა ნეჟინიდამ პრილუკამდე 61 ვერსის მანძილზე კერძო კაცთა ხარჯით და მთავრობის შეუწევნელად. 80 წლის შემდეგ გზა ხაზინის საკუთრება უნდა იყოს და ამ დრომდე-კი გამკეთებელი ისარგებლებს.

*** გუშინ, ამ თთვის 24 ს, შუადღის შემდეგ, ამიერ კავკასიის რკინის გზით საგანგებო მატარებლით მცხეთიდგან ჩამოიტანეს მის უდიდებულესობის ნასრ-ედინ შაჰის ბარგი, რომელიც დროებით რკინის გზის სადგურზეა და აყენია ყარაული. აქედგან, თუ არაფერი ამ ბარგიდგან არ იქნება საჭირო, ამავე მატარებლით გაიგზავნება აქსტაფაში. ამ ბარგს მოჰყვა თოთხმეტამდე ირანის მბრძანებელის კარის კაცი.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოში ენკენისთვის ოთხისთვის დანიშნავთ გასარჩევად მანუჩარ გაბუნიას და ბარონესა ელენა გერტის საქმე, რომელთაც ჰბრალდებათ, რომ ვითომ ცეცხლი წაუკიდეს თავიანთ მამულს ამ ორის წლის წინად, 27 მარიამობისთვის ღამეს იმ აზრით, რომ დასაზღვევი ფული მიეღოთ.

*** წმინდა ნინოს დედათა სასწავლებელში მარიამობისთვის 23 დაეწყოთ ეგზამენები იმ მოწაფეთ, რომელნიც ვერ გადასულან შემდეგს კლასებში. მისაღები ეგზამენები კი დაიწყება შაბათიდგან, 26 მარიამობისთვეს.

*** დრამატიულს თეატრში ბ-ნ ფორკატის ოპერეტების დასს დაეწყოთ რეპეტიციები ოთხშაბათს, 23-ს მარიამობისთვისას, და წარმოდგენები კი დაიწყება ენკენისთვეში.

*** ამბობენ, რომ ფინანსთა მინისტრს არ შეუწყნარებია თხოვნა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა კრებისა, რომელიც სთხოვდა მთავრობას, ნება მოგვეცით სესხი ვაძლიოთ და ვიღოთ გირაოდ ადგილ-მამულები ბათუმის ოლქშიო.

*** ამ დღეებში პოლიციის მეხუთე განყოფილების საპყრობილეში ქუთაისის მცხოვრებელ ამირან გიორგაძეს სწადდა თავისის თავის ჩამოხრჩობა, მაგრამ მალე მიასწრეს და დაიხსნეს სიკვდილისაგან. საქმე აი რაში მდგომარეობს: ამ სამი-ოთხის კვირის წინად ამირან გიორგაძეს გაეგო, რომ ვიღაც ეგნატე პრიუდენკო, სათადარიგო ჯარის-კაცი, ამიერ კავკასიის რკინის გზაზე ეძებს ალაგსაო. როგორღაც ეს პრიუდენკო გიორგაძეს მოეგდო ხელში და მოეტყუებინა, რომ მე რკინის გზის უფროს გენერალთანა ვმსახურობ და შემიძლიან ვთხოვო ჩემს ბატონს, რომ რკინის გზაზე მიგიღონო. პრიუდენკოსაც დაუჯერებია გიორგაძის კვეხნა და ქრთამზედ დაუწყიათ ლაპარაკი, რომლის შემდეგაც გიორგაძეს დაუტყუებია პრუდენკოსთვის ოცდა-ორი მანეთი და დამალულა. პრიუდენკოს ეს ამბავი პოლიციისთვის გამოუცხადებია, რომელიც აქამდე დაეძებდა გიორგაძეს და მხოლოდ ამ თთვის 19-ს პრიუდენკომ შეამჩნია ბარიატინსკის ქუჩაზე გიორგაძე, უჩვენა პოლიციის მოხელეს და დააპატიმრებინა. გიორგაძე საპატიმროში ჩაეგდოთ და ქამრის შემოხსნა-კი დავიწყებოდათ. მეორე დღეს გიორგაძეს საპატიმროს ჭერში ჩამოება თავისი ხელსახოცი ზედ მოება თავისი ქამარი. მერე ქამარში თავი გაეყო და ჩამოკიდებულიყო. ხელსახოცს ეს სიმძიმე ვერ დაეჭირა და გაწყვეტილიყო. ამირან გიორგაძე ჩამოვარდნილიყო ტახტიდგან ძირს გულ-წასული. ამ დროს შეამჩნიეს პოლიციის მოხელეებმა და მოაბრუნეს. ამ ამბავზე ჯეროვანი ოქმია შემდგარი.

*** ოთხშაბათს, მარიამობისთვის 23-ს, ორთაჭალასთან შემდეგი უბე-

## ფელეტონი

### ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად თ. ა. ი. სუმბათაშვილისა.

VI*)

ისინივე და ანიკო

ანნა. აი მეც აქა ვარ. ესეც ჩემი ძლევა-მოსილობის ნიშანი და დაფნის გვირგვინი. (სტოლზედ შეხვეულს ქაღალდს დააგდებს) მედალი მომცეს! ვისაც ჰსურს, შეუძლიან მომილოცოს. (ხვოროსტენკს ხელს ჩამოართმევს)

ხვოროსტ. დიდის სიამოვნებით გილოცავთ, თუმცა ეჭვიც არა მქონია, რომ გაიმარჯვებდით.

ანნა. იცი, საყვარელო მამილო.. ეხლა კინაღამ შენს ქალს სამუდამოდ არ გამოეთხოვე. (ყველანი შეშფოთდებიან)

ანფისა. რაო?! ღმერთო შეგვიწყალე, როგორ.. ახ... ცხენები გაგიქდნენ განა? აი, ბ-ნო სერგეი სულ შენი ბრალია, რომ აიტეხავ ხოლმე რაღაცას! ხომ გითხარი, ჩემები შეაბმევინე-მეთქი. არაო, ანიკოს ჩქარი და სწრაფი სიარული მოსწონსო.. თითქოს ძალიან საჭირო იყოს.. (ოლღა ამ დროს აღელვებით ელაპარაკება ანიკოს)

ანნა არა, ეგ არ იყო, ბებიავ... ფეხით გამოვიქეცი. გამოვედი და ვნახოთ, ეტლი ჯერ არ მოსულიყო. რაღას მელოდნა, სულ ორად-ორი ქუჩა-ღაა ჩვენამდე... ჩქარა მინდოდა სახლში მოსვლა, რომ დამექადნა და თავი მომეწონებინა.

ანფისა. მერე მარტო წამოხვედი?.. როგორ გაბედე, ქალო .. აი, ოლიკო, ხომ ჰხედავ? აკი გეუბენ, ნუ გაუშვებ მარტოს-მეთქი... არაო, რა საჭიროა, რომ ბიჭი არ მისდევდეს კუდად .. ანიკოს არ უყვარს, მარტოს ვინ რას დაუშავებსო... ახ, ღმერთო, სწორედ ბოლოს მომიღებთ მაგ თქვენის ახალის წესებით!.. გელაპარაკებოდი, რომ...

ხვოროსტ. აკი ძალიან ბევრიც ილაპარაკე, ახლა ანნას დააცადე სთქვას რამე. მთელმა ქვეყანამ კარგად იცის, რომ თუ ბატონს ანფისას რჩევას არ გაიგონებენ, იმავ წელს ქირიანობა და სიმშილობა გაჩნდება და წარღვნა წამოვა...

ანფისა. უფალო შეგცოდე, ეს რა გესლიანი და შხამიანი ადამიანია!

ანიკო. ბებიავ, შენი ჭირიმე, ნუ გაჯავრდებით ფათერაკი იყო და გაიარა. არც-კი გიამბობდით, მაგრამ ძალიან საყურადღებოა. გადმოვედი ქუჩაზედ და ნაბიჯის გადადგმას ვერ ვასწრობდი, ისე მოვფრინავდი, თითქოს ფრთები მქონდაო.. უეცრად ჩემს ყურთან გაისმა: „გაფრთხილდი! გაფრთხილდით!“ თავი მაღლა ავიღე და ის იყო ჩემს ცხვირ წინ-კი შეაყენა მეეტლემ გაქანებული ცხენები .. შევკივლე და შიშისაგან იქავ ჩავჯექი. ვნახოთ ეტლში ვიღაც მშვენიერი ქალი ჰზის და მეეტლეს ეკითხება: „რაო, ქვეშ მოიტანე ვინმეო“... იმან რაღაც ჩაიბლურტუნა პასუხად, მოსწია სადავეებს და ჩემს გვერდით, აი სულ ამდენზე, ქარიშხალსავით-კი გაიქროლა. იმ ქალმა-კი როგორღაც ამაყად და გულ-ზვიადად გადმომხედა და გადაიჭიმა ეტლში, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო.

ანფისა. აი ის შეჩვენებული და ბაჯაჯღანა, ისა!

ანნა. რის ბაჯაჯღანა, რას ამბობთ! მშვენიერი იყო სწორედ! თქვენ-კი არა გგავდათ, ოლღა, სულ სხვა გვარი სილამაზე ჰქონდა—თავი მოჰქონდა ძალიან და ამაყად გადმოხედვიდა, თითქოს იმას ამბობდა, რომ ოლონდ მე, თორემ თუნდა ქვა ქვაზედაც ნუ ჰგორავსო.

ხვოროსტ საკვირველია! ჩვენთაგანს არავისა ჰგავს.

ანნა. არა, ის ჩვენთაგანი არ იქნებოდა. ჩვენთაგანს იმისთანა ეტლი არავისა აქვს: ცხენებს სათვალურები ჰქონდათ გაკეთებული, დაუშალტევლები იყვნენ და მხოლოდ თასმები ებათ, მეეტლეს ოქრომკედ-შემოვლებული ტანისამოსი ეცვა და ეტლიც რაღაც ნაირი იყო... აი ასეთი მაღალი.. აქ-კი... ვერ აგიწერთ, მაგრამ საოცარი ეტლი-კი იყო.

ხვოროსტ. (ცნობის-მოყვარეობით) კაბრიოლი იქნებოდა...

ანფისა. რის კაბრიოლი, როცა ქართულად გელაპარაკებიან, რომ ასე იყოვო. შენ ყველაფერს რომ კუდი არ გამოაბა, ხომ არ შეიძლება.

ოლღა. რაც უნდა ყოფილიყოს, სულ ერთია. მერე არ შეგეშინდა?

ანნა. რა შიშარა. მნახეთ მეცა? არ ვიცი, ცხოვრება რას მიმზადებს მომავალში, მაგრამ არაფრისა-კი მეშინიან. რაც უფრო გაჭირებას გამოვივლი, მით უკეთესი.

ვოლინეც. გაჭირებამდე და შრომამდე ჯერ კიდევ შორსა ხარ, აი რა გახარო, ქალბატონო: დიდი ხანია ნაცნობული მყვეხარ, რეინი მაჩვენე, ალპები, რომი და ვენეციაო. ნატვრა აგისრულდა, ჩქარა წავალთ ყველანი იქითკენ და დიდხანსაც დავრჩებით იმ შენს სანატრელს ქვეყნებში.

ანნა. (აღტაცებული) მამილო, მართლა!.. არა, მატყუებ, ნუ თუ... ყველა მოთხრობაში ამოკითხულ .. საოცარს ადგილებს... ჩემის თვალითა ვნახავ.. შენი ჭირიმე, მამილო?.. (ეხვევა)

ანფისა. ჰხედავ, ხომ გაიგონე... დიდი ხანია გითხარით და გელაპარაკეთ, მაგრამ შენ-კი (ძმას) სულ მებაასებოდი და მეკამათებოდი: სად უნდა წახვიდეთ, რას უნდა იაროთო... დიდი ხანია უნდა წასულიყავით... სულ იმას ვამბობდი...

ხვოროსტ. (ხელებს გაასვსავებს) ამბობდი და გავიგონეთ, შევისმინეთ, კმარა.

ანნა. მამილო! იქ ჩვენ დედასაცა ვნახავთ, არა? (ყველანი აღელვდებიან. ანიკო ჯერ დაჩუმდება და მერე საქმიანად) ჩემთვის დღევანდელი დღე ძალიან შესანიშნავი დღეა. ამიერიდგან ახალს ცხოვრებას ვიწყებ... მაშ მითხარით, გამაგებინეთ, რა ამბავია, რას ჰნიშნავს ყველა ეს? რატომ არ ვიცნობ... დედაჩემს? რა მოხდა ისეთი და რა უნდა მოხდეს? (უნებურად შეჰხედავს ოლღას და რა ჰნახავს, რომ სულ ერთიანად გაფითრებულია) ოლღა, საყვარელო ოლღა, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: მე არა მჯერა, არ შემიძლიან და არც მინდა დავიჯერო ის უსინიდისო, ის... უპატიოსნო ჭორი, რომელსაც ყოველ მხრიდგან ჩამძახიან და ჩამჩიჩინებენ. მხოლოდ თქვენი მწამს და თქვენი მჯერა. ჩემს დღეში არ დამავიწყდება თქვენი ამაგი და თქვენი თავ-გადადებული სიყვარული...

ოლღა. ანიკო.., კმარ...

ანნა. არა, მომისმინეთ. დღეს აქტის დროს მომიახლოვდა ვერა ..

*) იხ. „ივერია“ № 175 და 176.

დურება დატრიალდა: ვიღაცა თათარმა ჩამოიყვანა მტკვარზე საბანაოდ ორი ცხენი. ერთი ამათგანი ძალიან ღრმად შევიდა წყალში და მეორე ცხენი-კი, რომლის თოკიც ამ კაცს ხელში ეჭირა, ნაპირას დარჩა, რადგანაც პირველ ცხენზე მჯდომარე თათარმა თოკი გაუშო ხელიდგან და სცდილობდა იმ ცხენის გამოთრევას, რომელზედაც თითონ იჯდა. მაგრამ ამ თათრის ცდამ ფუჭად ჩაიარა: ცხენიც დაირჩო და თითონ ცხენზე მჯდომი თათარიც, რომლის გვამიც ჯერ არ უპოვნიათ. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს თათარი ყოფილა სოფელ სარვანის (ბორჩალოს მაზრაში) მცხოვრებელი გულ-მაჰმად-კასუმ-ოღლი.

*** გორის ახალს სტამბაში იბეჭდება ამ ჟამად ცალკე წიგნად მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა: „დემეტრეს სახლობა“. ეს მოთხრობა პირველად ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი რამდენსამე ფელეტონად.

*** 23 აგვისტოს ბათუმიდამ ტფილისს ჩამოსული სახალხო მატარებელი კინაღამ ხიფათს არ შეჰყრია კასპის სადგურზე. მატარებელი გაქანებული მოდენილა სადგურზე და როცა სრულიად მოახლოვებულა სადგურს, მაშინ მოსულან გონს მატარებლის გამგენი და ძლივს ძლივობისას გაუჩერებიათ.

*** გლეხ-კაცობაშიაც გაჩენილან გაიძვერა მელაძუები და თავისებური შულერები. ამ ნაირი კაცები დაძვრებიან ღამე რკინის გზის სადგურებზე, მატარებლის მოახლოვების დროს, დაარბენინებენ მანათიანსა და სამმანათიანს დასახურდავებლად, ვითომ ძრიელ გვეჩქარებაო, და დასახურდავებელს ფასსაც იძლევიან, ოღონდკი დამიხურდავეთო. დანდობილი კაცი იღებს მანათიანს და უხურდავებს გლეხს. ვსთქვათ, მიეცი მანათში მანათი. გლეხი აცხადებს, რომ სამ მანათიანი მოგეცით და ხურდას მანათს რად მაძლევთო. გლეხი ჩივის, ტირის, ყვირის სადგურის იმოდენა ხალხში, გამძარცვა, ფული წამართვა და სამ-მანათიანში ერთ მანეთზე მეტს ხურდას აღარ მაძლევსო. ერთი ამისთანა შემთხვევა ეხლა-ხანს მოხდა ქარელის რკინის გზის სადგურზე. ფულის დამხურდავებელმა ვეღარას გზით ვერ მოიცილა თავიდამ ამისთანა გლეხი, თუმცა ქვეყანა იდგა ფულის დახურდავების დროს და ჰხედავდა, რომ გლეხმა მანათიანი მისცა დასახურდავებლად და ხუთ მანათიანს-კი წაედავა. დამხურდავებელი სახტად დარჩა და ვიდრე ჟანდარმს არ დაუძახეს, ვეღარ მოიშორეს თავიდამ გამელაძუებული გლეხი, რომელიც ყვიროდა: ან აქვე მომკალით, ან ჩემი ხუთ-მანათიანი დამიბრუნეთო. გლეხი იმერულად უქცევდა, თუმცა ქართლურად ეცვა, ზედ ხურჯინი ეკიდა და ქუდის მაგიერ თავშალი ჰქონდა თავზე წაკრული. ჰკითხეს გლეხს: სადაური ხარ, ან ვინ მოგცა ეგ ხუთ-მანათიანი, იქნება სხვამ ვინმე მოგატყუაო, მაგრამ გლეხმა არც თავისი სოფელი დაასახელა და არც ის კაცი, ვისგანაც ის ხუთ-მანათიანი მიელო.

*** ქართლში დიდი მოუსავლიანი წელიწადია წელს. არც ქირნახული მოვიდა და არც ღვინო მოდის. არ იციან, როგორ გაატარონ წრევანდელს წელიწადს. ბევრგან მოუვლელად და უყურადღებოდ დასტოვეს მინდორში ყანები, რადგან ამაგის ფასი არა იქნებოდა-რა. დღიურს ძლივს ორი-სამი კოდი გამოსდიოდა, ისიც ნახევარი გორველა და სხვა ბალახის თესლი ერია. ეს პურიც ისეთია, რომ ერთის კოდიდამ ნახევარ კოდი ძლივსა დგება გაკეთებაში. ზოგან იმოდენა ბალახი მოერია პურს, რომ შავტალახივით გამოდის ზელაში და არცა ლღვება. ასეთს გაჭირებაში ბევრგან გლეხ-კაცობა და არ იცის, რა ჰქმნას, როგორ გამოიდეს იოლად, რით გასცეს პასუხი ან თავის თავსა და ან ქვეყანას. ყველას გასტუმრება უნდა: მამულის პატრონსაც, სახელმწიფო ხარჯსაც, მღვდელსაცა და ბერსაც. ქართლის გლეხს მხოლოდ პურითა და ღვინით შეუძლიან გაისტუმროს ყველა მისი შემყურებელი. პური და ღვინო-კი არ მოვიდა. დარჩა ქერი და სიმინდი. ქერს ბევრს არავინა სთესავს და არც ყველგან მოდის ქერი. სიმინდი-კი ისეთი ძნელი მოსაყვანია ქართლში, მეტადრე სარწყავებში, რომ დიდი ოჯახი უნდა იყოს, რომ ოთხი-ხუთის დღის სიმინდი მოიყვანოს. რა უნდა გახდეს ეს მოსავალი და მაინც არასა ხდება, ამის გამო, საცა მიხვალთ ეხლა სოფლად, ყველგან ჩივილი და ტირილია. ზოგან შიმშილობასაც კი ელიან. თუ მოვიდა სადმე მოსავალი, იქ ისეთს ფასს იძახიან, რომ ყიდვა პურისა შეუძლებელია გლეხ-კაცისათვის.

*** ცხინვალში ერთი სასაცილო ამბავი მოხდა ამ დღეებში. ღამე, ესე ცხრა-ათი საათი იქნებოდა, ასტყდა საშინელი ზარის რეკა აქაურ სომეხთ ეკლესიისა. გამოცვივდა ხალხი, შეიკრიბა ეკლესიასთან და აღმოჩნდა, რომ ეკლესიაში კელაპტარი ენთო ღვთისმშობლის ხატის წინაშე. სომხობამ აიტეხა, რომ საკვირველთ-მოქმედებაა და ეგ ამბავი სასწაულის ნიშანიაო. ცრუ მორწმუნენი მალე გაცრუვდნენ. მალე აღმოჩნდა, რომ ეკლესიაში სანთელი დიაკვანს დარჩენოდა ანთებული.

*** ქართლის ოსეთისკენ ძლიერ უჩივიან ქურდობას. აღარ არის სულის დგმა ამდენის ქურდობისაგანაო. თვალიდამ რომ საქონელი მოგშორდეს, მაშინვე ხელი უნდა აიღო: ქურდები გააქრობენ. ამ დღეებში მოიპარეს აქ სამი ცხენი: ერთი იყო მღვდლის ა. ლოსაბერიძისა და ორი მღვდლისავე პ. ჯარიევისა.

## უცხოეთი

**ინგლისი და საფრანგეთი.** ინგლისმა ორჭოფული ლაპარაკი დაიწყო პოლიტიკაში მას შემდეგ, რაც იქ სტუმრად იყო იმპერატორი გერმანიისა. ამბობენ, რომ თუ ინგლისი ჯერ არ მიმხრობია სამთა კავშირს, აპირობს მაინცაო. ეს ძალიანა სწყინს საფრანგეთს და მისი გაზეთები ამ წყენას აღარა ჰმალავენ. სხვა რომ სულ არა იყოს-რა, ეს მაინც ცხადია, რომ ინგლისის წყალობით მიემხრო იტალია ავსტრიასა და გერმანიასაო. აქ რომ ინგლისის ხელი არ გარეული ყო, იტალია ვერ გაჰბედავდა ასეთს საქმეს. უთუოდ ინგლისმა აღუთქვა იტალიას შემწეობა და დაცვა მისის ნაპირებისა ზღვების მხრით იმ შემთხვევაში, თუ ავსტრიასა და გერმანიასთან კავშირის შეკვრით გაუჭირდება რამე. „Standard“-ის პარიჟელი კორრესპონდენტი სწერს, რომ რუსეთის სამხედრო მინისტრი გენერალი ვანნოვსკი და საფრანგეთის—ფრეისინე ძალიან ხშირად იყვნენ ხოლმე ერთმანეთთან, როცა ვანნოვსკი აქ იმყოფებოდაო და საფიქრებელია, რომ მათი ლაპარაკი მარტო მათ კერძო საქმეებს არ შეეხებოდაო. იმავე გაზეთს სწერენ პეტერბურგიდამ, რომ პეტერბურგში მყოფს საფრანგეთის ელჩს ლაბულეს უთქვამს შაქირ-ფაშასათვის: „საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი, მართალია, ჯერ შეკრული არ არის, მაგრამ ეგ არაფერია. ქაღალდის დაწერა ყოველთვის შეიძლება, თუ საქმე გაჭირდაო. სამთა კავშირს იმედი არა აქვს, რომ იმისი მხედრობა სძლევს ჩვენსასა და რუსეთის ერთად შეერთებულს მხედრობას. ამიტომ სცდილობს შუაგულ ევროპის სახელმწიფოთა ლიგა ოსმალეთიც მიიმხროს. თუ ეს მოახერხეს, ეჭვი არ არის, ომი მაშინვე ასტყდებაო. ვინ იცის, რამდენად მართალია ეს ამბავი, მაგრამ მაინც საყურადღებო-კია, რადგან ამას სწერენ ისეთს გაზეთში, რომელიც ძრიელ დაახლოვებულია ინგლისის სამინისტროსთან. საყურადღებოა აგრეთვე ინგლისის მეორე ამ გვარისავე გაზეთის ნართაული და გადაცემ-გადმოცემული ლაპარაკი. ეს გაზეთია „Morning Post“-ი, რომელიც ამბობს, რომ, მართალია, ინგლისის ერს საფრანგეთის წინააღმდეგ არავითარი ბოროტი განზრახვა არა აქვს, მაგრამ მაინც თანხმობა და მეგობრობა გერმანიასა და ინგლისს შორის კარგი საბუთია მშვიდობიანობისაო. დიდის ზღვათა მფლობელის სახელმწიფოსი და დიდის სამხედრო იმპერიის კავშირი დიდი ნუგეშია იმათთვის, ვისაც მშვიდობიანობა სწყურიანთო. კავშირი-კი იქნება არ იყოს ამ ორ სახელმწიფოს შორის შეკრული, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყნეთ, რომ, თუ კავშირი შეიკრა, სალისბერი არ დაივიწყებს დედა აზრს: „Do ut des“. საფრანგეთის გაზეთი „Temps“-ი ამბობს ამაზე: გადარეული ლაპარაკი თუ გინდათ, ეს არისო. ეტყობა ინგლისი არავის არ ემტერება, მაგრამ შეუძლიან-კი ერთსა და იმავე დროს ერთს უცინოს და მეორეს კომპლიმენტებით თავი გაუბრიყოსო. თავის აზრის დასამტკიცებლად „Temps“-ს მოჰყავს ის ტკბილი სიტყვები და კომპლიმენტები, რომელიც დაუხარჯავს საფრანგეთის შესახებ გაზეთ „Standard“-ს. ეს გაზეთი ლაპარაკობს გერმანიის იმპერატორის მისვლის გამო ელზას-ლოტარინგიაში, მერე არკვევს, რა ურთიერთობაა საფრანგეთსა და გერმანიას შუა და ასეთის მოქარგულის ენით ამკობს საფრანგეთს: ამ 19 წლის განმავლობაში საფრანგეთმა და გერმანიამ, დიდი მანძილი გაიარეს წარმატებისა. იქნება საფრანგეთის წარმატება უფრო მეტიც იყოს, ვიდრე იმისის მეტოქესი. უნდა ვსთქვათ, რომ მთელს დედამიწის ზურგზე არც ერთი ქვეყანა ისე მალე ვერ გადიელებდა თავს

---

ანფისა. (ძმას) მშვენიერი ქალი გავს, მეტი არ შეიძლება.

ანნა. თვალი მოვკარ თუ არა, რომ რიღასაც თქმას აპირებდა, თავი დავუკარ მძიმედ და მოვშორდი. თქვენს უბედს ჩემთან ვერას იტყვიან, ვერას გაჰბედავენ, ვერას... მაშ გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ...

ვოლინც. ანიკო (ხელს დაუჭერს) მერწმუნები მე, თუ არა?

ანნა. მამაჩემო!

ვოლინც. თუ მერწმუნები, იცოდე: პასუხის მიცემა რომ შემეძლოს ეხლავე, გულ-წრფელად და პირდაპირ გიპასუხებდი კიდეც. მაგრამ ეხლა მაგ საგანზედ ლაპარაკი არ შემიძლიან არამც თუ მარტო შენის, არამედ... დედიშენის ბედნიერებისათვისაც-კი.

ანნა. არ ვუყვარვარ დედაჩემს?

ვოლინც. დედაშენი ეხლა ბედნიერია, არხეინად იყავი. გახსოვდეს ყოველთვის შენი მშობელი, მაგრამ იმის გამოისობით გულში დარდი და ნაღველი-კი სულ არ უნდა გაიტარო. არასოდეს არ მომიტყუებიხარ, და თუ ეხლა ამას გეუბნები, ისევე უნდა მერწმუნო, როგორც შენს თავს ერწმუნებოდი.

ანნა. ერთი სიტყვა კიდევ: ვნახავ?

ვოლინც. როდესაც შეიყვარებ ვისმე და შენ მიერ შეყვარებულის ცოლი შეიქმნები, მაშინ ის მოგცემს მაგის პასუხს (სცენის უკანიდგან მოისმის: „მობრძანდით, ქალბატონო, ეხლავე მოვახსენებ“)

არინა. (სცენის უკანიდგან) მოხსენება რაღა საჭიროა, მე შინაური ვარ, შინაური. (შემოდის. ყველანი მიიხედავენ)

VII

ისინივე და არინა, სამოცის წლის გამხდარი დედაკაცი, შავი აბრეშუმის კაბა აცვია, ძალიან მოხდენილად და ლაზათიანად შეკერილი.

ვოლინც. (შეჰხედავს, შეკრთება და უკან დაიხევს)

არინა. (პირდაპირ იმისკენ მიდის და ხელები გაშლილი აქვს მოსახვევად) ვისა ვხედავ! სერიოჟა!..

ვოლინც. (სწრაფისა და გადაწყვეტილის კილოთი) ჩემს კაბინეთში მობრძანდით.

არინა. რა ვქნა, ეს ანიკოა? ჩემო ტურფავ, როგორ გაზრდილხარ და გამშვენიერებულხარ! ბებიაშენი აღარ გახსოვს, დაგავიწყდა განა?

ანნა. (მამას შეჰხედავს) ბებია...

არინა. მე შენთან გამომგზავნა შენმა...

ვოლინც. (მკაცრად) კრინტი არ დასძრათ... ანიკო, შედი შენს ოთახში.

ანნა. მამაჩემო...

ვოლინც. (თითქმის ძალათი გაჰყავს) შედი-მეთქი, მე გიბძანებ. (გადიან და ოლგაც თან გასდევს)

VIII

ანფისა, ხვოროსტნევი და არინა.

ანფისა. (ძმას) ვინ არის ნეტა ეს კუდიანი დედაკაცი?

ხვოროსტ. ჩემის აზრით, ბებია უნდა იყოს სერგეის ქალისა და დედა იმის ცოლისა.

ანფისა. (პირდაპირ მივა არინასთან) რისთვის მობძანებულხართ? (ხვოროსტნევი სასოწარკვეთილებით გაიქნევს ხელებს).

არინა. მე ჩემს სიძესთან მოვედი.

ანფისა. თქვენს სიძეს რომ თქვენი ნახვა სულაც არ ეპიტნავება? აბა პასუხი მომეცით, თუ თქვენი ნახვა არად ესიამოვნება?

არინა. მაგაზედ ჩვენვე მოვურიგდებით ერთმანეთს. თქვენ ვინღა ბძანდებით, სახლის გამგე და მართველი?

ხვოროსტ. მოგხვდა თუ არა!

ანფისა. (სულ ერთიანად აენთება) რაო? მე ვარ სახლის გამგე და მართველი? მე, ჩემო ბატონო, ანფისა ანდრიას ასული გარანინისა გახლავართ.

არინა. (არხეინად) რაო მერე? ყველა ადამიანს თავისი სახელი და გვარი აქვს.

ანფისა. ამას რას მოვესწარ, ვერ უყურებ?

ხვოროსტ. (ჩუმად) ხმა ჩაიწყვიტე! როგორ არა გრცხვენიან, რომ მაგას უყადრებ თავს! (ხმა-მაღლა არინას) უკაცრავად, ბატონო...

ანფისა. როგორ! შენვე იხდი ბოდიშს?

ხვოროსტ. (გაცხარდება) ახა ღმერთო ჩემო, ეს რა ადამიანს შევეყარე!

არინა. თქვენს გასაღებებსა და ტანთსაცმელს რომ შევხედე, იმიტომ მეგონეთ სახლის გამგე, თორემ იქნება მთავრინაცა ბძანდებოდეთ. პირველის ნახვით ვინ შეგატყობთ! მაგას გარდა, ისიც გაგონილი მაქვს, რომ ჩვენის წრის ქალები სტუმარს ეგრე არ ეძგერებიან და ყელში არა სწვდებიან ხოლმე.

ანფისა. დაუპატიჟებელი სტუმარი მტერის კარსაო.

არინა. რა უფლება გაქვთ, რომ აგრე უდიერად მიხსენიებთ.

ანფისა. ის უფლება, რომ ამ სახლში ჩემი ქალია ბატონი და პატრონი... ეს სახლი იმისი სახლი გახლავთ, შეიტყვეთ თუ არა...

ხვოროსტ. ხმა ჩაიწყვიტე-მეთქი, შე დამთხვეულო!

არინა. ახლა კი გავიგე, მესმის, მესმის. . უკაცრავად! რა სულელი ვარ... მაშ ის ყმაწვილი ქალი... (ხვოროსტნევს) თქვენ, როგორც გეტყობათ, მამა უნდა ბრძანდებოდეთ? (ხვოროსტნევი მხრებს შეიშმუშნის უკადრისად და ზურგს შექცევს) ძალიან პატივსაცემი ოჯახი გქონიათ, რომ მეტი არ შეიძლება.

ანფისა. ეჰეი, ვინა ხართ მანდა?

ხვოროსტ. (ნელის ხმით) თუ ღმერთი გწამს, ეს ერთი მაინც დაულაგდი ჰკუას... მე თითონ წავალ ამ დედაკაცის ქალთან. აქ ხერხიანად და გონიერად უნდა მოვიქცეთ, თორემ საქმე წახდება და ყველაფერი გაფუჭდება. (ვოლინცევი შემოდის საჩქაროდ)

IX

ისინივე და ვოლინცევი

ვოლინც. აბა სთქვით ჩქარა, რა გნებავდათ.

არინა. რა ვქნა, რატო აგრე მიხვდები? ცხრა უცხო არა ვარ ვგონებ შენი...

ვოლინც. რა გნებავთ?

არინა. როგორ თუ რა? თუ შენ გული გაქვავებია და აღარასა ჰგრძნობ, ყველა ხომ შენსავით არ არის, ჩემის შვილიშვილის სანახავად მოვედი.

ანფისა. თქვენის შვილიშვილისა, თქვენის?

ვოლინც (ანფისას) თუ ღმერთი გწამთ...

ანფისა. (თითქმის ზიზღით) მაგის შვილიშვილისა?

ვოლინც. მეტყვით, თუ არა, რად მობძანდით?

არინა. გეტყვი, სერიოჟა, გეტყვი. ნინოს, შენს ცოლს, უნდა შენი ნახვა.

ვოლინც. აქ არის?

არინა. გუშინ ჩამოვედით დილის მატარებლით და ლონდონის სასტუმ-

1870-71 წლის უბედურებას, ისე მალე ვერ მოღონიერდებოდა, როგორც საფრანგეთი მოღონიერდა. ჯერ ის უნდა იანგარიშოთ, რამდენი ხალხი დაელუპა ამ უბედურობის გამო, რამდენი ფული და შეძლება ჩაინთქა ომისაგან. დაუმატეთ ამას იმოდენა კონტრიბუცია და მერე კომუნის საშინელება, და ადვილად წარმოიდგენთ, რაოდენი ცხოველ-მყოფელი ძალა აქვს საფრანგეთის ერს. მცოდნე კაცნი ამბობენ, რომ საფრანგეთი ეხლა უფრო ძლიერია, ვიდრე ყოფილა ოდესმე მთელის თავის არსებობის განმავლობაში. შინაურ უთანხმოებისაგანაც რომ განიკურნებოდეს, ან ცოტათი მაინც დასცხრებოდეს იქ შინაური უთანხმოება, საფრანგეთი კვლავ დაიჭერს პირველს ადგილს ევროპის სხვა სახელმწიფოთა შორისა.

## სასამართლოს მატიანე

### სტავროპოლის ოლქის სასამართლო

(დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მოკვლის საქმე)

(შემდეგ*)

ივკოვის ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ სასამართლოს სხდომა გადაიდო მეორე დღის ათ საათამდე. მეორე დღეს ბრალდებულის ამხანაგმა განაცხადა; რომ, როგორც გავიგე, ბროხნიცკის საქმისა ზოგიერთი ახალი გარემოება შეუტყვია და ამიტომ გთხოვთ კვლავ ალაპარაკოთ ეს კაციო.

ლეონარდ ბროხნიცკი. გუშინ სასამართლოდგან გასვლის შემდეგ გამომძიებელ ტარსაიძესთან ერთად ვსადილობდი ყიფიანზედ ჩამოვარდა ლაპარაკი და ტარსაიძემ, სხვათა შორის, მითხრა, რომ 24 მკათათვეს ბრალდებულის ქალმა რუდნევმა ჩემთან მოიარა ციხიდგან, მეტად აღელვებული იყო და მითხრა, რომ სტრეპეტოვმა დღეს გამომიცხადა: მე თითონ-კი არა ვრეულვარ მაგ დანაშაულში, რადგან მაშინ ხელი მტკიოდა და შეხვეული მქონდა, მაგრამ ის-კი ვიცი, ვინც არიან ყიფიანის მკვლელები, და მკვლელობის წინა დღეს იმიტომ ვიყავი მოკლულთან, რომ შემეტყობინებინა ეს ამბავი და გამეფრთხილებინაო.

ამ ჩვენების შემდეგ ქალმა რუდნევამ განაცხადა, რომ 24 მკათათვეს საპატიმროში არა ვყოფილვარ და ამიტომ ბროხნიცკის ჩვენება ტყუილია და სიცრუეო.

ტიმოფეი კარცევი. ერთხელ შემოდგომაზედ კატუნინის ყავახანაში შევედი, იქვე მოვიდა ბრალდებული სტრეპეტოვი, ღვინოზედ დამპატიჟა და შემდეგ მითხრა, რომ გოგოებთან წავიდეთო. წავედით სტარიცკისთან, სადაც სტრეპეტოვი არაყსა და ლუდსა ყიდულობდა და სადაც დარჩა კიდეც გოგოსთან. მეორე დღეს შემომხვდა და მითხრა, რომ წუხანდელი გოგო, ფულის მაგიერ, ცემით დავაჯილდოვეო. როდის მოხდა ეს ამბავი, ყიფიანის მკვლელობის წინად, თუ შემდეგ, კარგად არ მახსოვს. როცა კატუნინს ფულს უთვლიდა, სტრეპეტოვი სულ ახალთ-ახალს მანათიანებსა და სამ მანათიანებს აძლევდა. მამაჩემს სასტუმრო აქვს, ამ სასტუმროში ერთხანს სცხოვრობდა ვიღაც ხარკოვსკი, მაგრამ არ ვიცი რა ურთიერთობა ჰსუფევს სტრეპეტოვსა და ხარკოვსკს შორის.

გაბრიელ კატუნინი. 1887 წლის დამლევს ჩემის ძმის ყავახანაში შემოვიდნენ კარცევი და სტრეპეტოვი და ორჯელ მოითხოვეს არაყი. ბრალდებულმა მაშინ მგონებ ახალი სამ მანათიანი დამახურდავებინა. სტრეპეტოვს პალტო ეცვა. ეს ამბავი ყიფიანის მკვლელობის ორის თვის შემდეგ იყო.

პოლიციელი მიხეილ ლუზანოვი. პოლიცმეისტერის თანაშემწემ და მე სახლი გავუჩხრიკეთ თევდორე შულგინს და ვუპოვნეთ ცხვირსახოცები, რევოლვერი და სამ თუმნამდე ფული. ყოველ გაჩხრეკაზედ წინად, ჩვეულებრივ, შულგინები უკმაყოფილებას აცხადებდნენ და ყვირილს დაიწყებდნენ ხოლმე. შულგინები არა ერთხელ არიან შემჩნეულნი სხვა-და-სხვა დანაშაულში. თევდორე შულგინი ყიფიანის მკვლელობამდე ცოტა ადრე გაანთავისუფლეს საპატიმროდგან. კარგად ვიცი, რომ შულგინი სტრეპეტოვს იცნობდა, რადგან არა ერთხელ მინახავს ორივენი ერთად მკვლელობის წინადაც და შემდეგაც. სტრეპეტოვს მაშინ შავი პალტო ეცვა. შულგინი არაფერს საქმეს არ ადგა. დარია კოვალენკოს კავშირი ჰქონდა ბრალდებულთან და, როგორც მითხრეს, აქამდე სადილს უზიდავდა კიდეც საპატიმროში.

აგრაფენა იუნოშევისა. შულგინების მეზობლად ვცხოვრობ. მკვლელობის შემდეგ პრასკოვია შულგინისამ მითხრა, რომ გვერდი ამტკივდა და იმიტომ დავანებე თავი ბროხნიცკებსაო. პრასკოვია სკაკოვსკისთან იყო მოსამსახურედ და გამოვიდა თუ არა, იმ სახლს ავაზაკები დაეცნენ. ყიფიანის მკვლელობის დროს ბელეცკისთან ვიყავი მოსამსახურედ და ამიტომ არ ვიცი მაშინ რა ამბავი იყო შულგინებისას.

იაკობ ხრისტენკო. სტავროპოლის საპატიმროში ვმსახურებდი და არა ერთხელ მინახავს პატიმარ ზადუნაისკისთან მოსული თევდორე შულგინი, მაგრამ როდის იყო ეს ამბავი, აღარ მახსოვს. კარგად ვიცი, რომ პატიმარნი ხოხლოვი და ზადუნაისკი დიდი მეგობრები იყვნენ ერთმანეთისა. სტრეპეტოვი და ხოხლოვი სხვა-და-სხვა სენაკებში ისხდნენ, მაგრამ ხანდახან ერთად სეირნობდნენ ტალანში და ლაპარაკობდნენ რაზედაც უნდოდათ. სტრეპეტოვი ყიფიანის მკვლელობამდეც ისეთივე გამხდარი იყო, როგორიც ეხლა არის.

ივანე შულგინი. ამ საქმისა მე არა ვიცი-რა. სტრეპეტოვი, მართალია, სამჯერ იყო ჩვენსას და ერთხელ ერთი აბაზიც მომცა. ჩემს ძმას ბრალდებულმა პალტო გამოართვა და დააგირავა. სტრეპეტოვს ვეღარა ვცნობ. ჩემის ძმის პალტო-კი სწორედ ეგ არის, რომელიც სასამართლოშია.

შახალიე ბაჩიროვი. საპატიმროში ვიყავ დამწყვდეული და გავიგონე, როცა ზედამხედველმა ბრძანება გასცა, ერთს საიდუმლო სენაკში დაამწყვდიათ ბრალდებული სტრეპეტოვი და ივანე ხოხლოვი სამთვრალისათვის. იქიდგან გამოსვლისას ბრალდებულმა თავზედ ხელი იტაცა და სთქვა: „თავი დავიღუპე, თავიო!" კიდევ რაღაცა სთქვა ვიღაც გვარზედ, მაგრამ კარგად-კი აღარა მახსოვს-რა. ხოხლოვი და სტრეპეტოვი ყოველთვის არაყსა სვამდნენ და სულ ერთ კვარტამდე დალიეს. სტრეპეტოვს წელიწადზე მეტია ვიცნობ და წინადაც აგეთი გამხდარი იყო, როგორიც ეხლაა.

ბრალმდებლის ამხანაგის თხოვნით მოწმეს წააკითხეს გამომძიებელთან მის მიერ მიცემული ჩვენება, რომ როცა სტრეპეტოვი საიდუმლო სენაკიდგან გამოვიდა, სთქვა: „ხოხლოვს უამბე გენერლის ამბავი. ზედამხედველი ყურს გვიგდებდა თურმე და ეხლა ჩემი საქმე წასულიაო".

ალექსი კროვეცკი. 1887 წლის ზაფხულში სტრეპეტოვი ჩემს სახლში იდგა თავის საყვარელ დარიათურთ. მაშინ ბრალდებული უფრო ხორცზედ იყო, თუმცა კი ეხლა ცოტად შესცვლია სახე. არ შემინიშნავს, რომ მაგათთან საეჭვო ხალხს ევლოს. არც ის მინახავს, რომ ლიდია კუზმინისა ყოფილიყოს მაგათთან. სტრეპეტოვი ხანდახან ლოთობდა. ამის მეტი სხვა ცუდი არა შემინიშნავს-რა ბრალდებულისა.

იოსებ იანჩევსკი. ბრალდებული ერთის დროს ჩემის თავდებობით განთავისუფლდა და ამიტომ ხანდახან შემოდიოდა ჩემთან. მაშინ ზატკნის ტყავის ქუდი ეხურა და წაბლის ფერი პალტო ეცვა. აღარ მახსოვს, როდისა მყავდა თავდებობით განთავისუფლებული, გენერლის მოკვლის წინად, თუ შემდეგ. თავდებობად დასადგომად საჭირო ფულს პირველში ვიღაც დედაკაცი მაძლევდა, ხოლო როცა სტრეპეტოვი განთავისუფლდა, თითონვე გადამიხადა განსათავისუფლებელი ფული.

დარია კოვალენკოვი. ბრალდებულთან კავშირი მქონდა და ერთად ვცხოვრობდით 1887 წლის შემოდგომის იარმუკობის შემდეგ სტრეპეტოვი ისე იყო ავად, რომ მთელი თვე გარეთ არ გამოსულა. ჩემთან ცხოვრების დროს ბრალდებული ღამე არსად დადიოდა და არსად რჩებოდა და სამ დღობით ხომ სულ არსად დაკარგულა. ერთი ღამეც რომ წასულიყო სხვაგან, უეჭველია გავიგებდი. დღე ხშირად მიდიოდა სხვაგან, ულვაშები არასოდეს არ შეუღებია. ლიდია კუზმინისა თუმცა დადიოდა ჩემთან, მაგრამ ყიფიანის მკვლელობისა არაფერი უამბნია. საეჭვო სტრეპეტოვი არავის იცნობდა. იმასთან მხოლოდ მუშტრები დადიოდნენ. თევდორე შულგინს სულ არ ვიცნობ და არც იმათსა ყოფილვარ. სტრეპეტოვთან შესაკეთებლად მოქონდათ ვერცხლის საათები და სხვა ნივთეულობა, ოქროს საათი-კი ჩემს დღეში არ მინახავს ბრალდებულთან. სტრეპეტოვი ეხლა უფრო გამხდარია. სმა უყვარდა, მაგრამ-კი არა ლოთობდა.

ვასილი ოდინაროვი. 1887 წლის შემოდგომასა და ზამთარს ჩემს სახლში იდგნენ სტრეპეტოვი და დარია კოვალენკოვისა. სტრეპეტოვი მესაათობდა. მხოლოდ მუშტრები დადიოდნენ იმასთან, საეჭვო კაცი-კი არავინ მინახავს. არ მახსოვს ისეთი დრო, რომ ბრალდებული ორი-სამის დღით დაკარგულიყოს სადმე. სტრეპეტოვს ისეთი ოთახი ეჭირა ჩემს სახლში, რომ სადმე წასასვლელად ჩემს ოთახზე უნდა გამოევლო. დარწმუნებით-კი ვერ ვიტყვი, რომ ღამე არსად ყოფილიყოს ბრალდებული, რადგან შეიძლება ვერ გამეგო იმისი წასვლა. სტრეპეტოვი მაშინ მკელ პალტოს ატარებდა, ფერი აღარ მახსოვს. 1887 წლის შემოდგომაზედ ბრალდებულს, მართალია, ფეხი სტკიოდა და ჯოხით დადიოდა, მაგრამ არ მახსოვს რამდენს ხანს იყო ავად. მაშინ ფერშალი სწამლობდა. ჩემი ცოლი რძესა სზიდავდა ვიცე-გუბერნატორთან და ერმაკოვთან. შევიტყე კიდეც, რომ სტრეპეტოვი ვიცე-გუბერნატორის გაქურდვისთვის არის დაჭერილიო, მაგრამ ერმაკოვის გაქურდვისა-კი არა გამიგონიარა.

ლიდია კუზმინისა. 1887 წლის შემოდგომაზე დარია კოვალენკოვისას კაბის შეკერვა შევუკვეთე. ყიფიანის მკვლელობამდე იყო ეს ამბავი. მაშინ შინ და-

*) იხ. „ივერია" №№ 168, 169, 170, 172, 173, 175 და 178.

---

რომში ჩამოვხდით. წერილი უნდა გამოეგზავნა, მაგრამ გულმა არ მომითმინა, მე თითონ მინდოდა თქვენი ამბავი შემეტყო, და აი შენ-კი როგორ დამიხვდი!..

ვოლინც. მე თითონ ვნახავ თქვენს ქალს დღესვე.

არინა. ნეტავი ღმერთმა ჰბძანოს და კვლავ მშვიდობიანად და ბედნიერად დაიწყოთ ცხოვრება, ჩემს დედობრივს გულს ანუგეშებდით. ძველს დაივიწყებდით.. ღმერთთან ვინ არ არის პირ-შავი და ვის არ შეუცოდავს, ცოლსა და ქმარს შუა ვერავინ ჩადგება. რასაკვირველია, ჩვენს წრეში ყოველთვის არ მისდევენ ოჯახის სიწმინდეს, მხოლოდ თუ მოსახდენია რამ, მალულად კი უნდა მოხდეს, ჩუმად, გამოუმჟღავნებლად..

ვოლინც. კარგი, კმარა..

არინა. მე მაგ ყვირილზე მორჩილებით გიპასუხებ, სერიოჟა, რადგან შენი ბრალი-კი არ არის ეს ამბავი, არა, სხვებისაა, იმათი.. მაგრამ ეჰ, ჩემსა და ნინოს ცრემლს ღმერთი შეისმენს და ერთი-ორად მოგვაგებს წყალობას. ახ, ნეტავი-კი ანიკო მენახა, მაგრამ ვინ მაჩვენებს... რა-კი ასეა, ჩემი და დედის მოკითხვა გადაეცით. (მიდის და კარებთან კვლავ მობრუნდება) უეჭველად გვნახე, სერიოჟა, თორემ ბევრს უსიამოვნებასა და დავიდარაბას აიტეხავ. (გადის)

ვოლინც. (სავარძელში დაეშვება) ანფისა, თუ ღმერთი გწამთ, შედით ანიკოსთან.., საწყალს გოგოს პირზედ სახე აღარ ადევს... ოლგა-კი აქ გამოგზავნეთ, საქმე მაქვს-თქო.

ანფისა. ეხლავე, ბატონო ჩემო... ეჰ, მოვესწარით ამ ხათაბალასა და დავიდარაბასაც... გეუბნებით, დიდი ხანია უნდა წავსულიყავით და ჩვენი ფეხი აქ აღარა ყოფილიყო. (გადის)

ხვოროსტ. გამიგონე, ძვირფასო მეგობარო: ერთი აზრი მომივიდა. მე თითონ ვკიდებ ამ თქვენს საქმეს ხელს. ამისთანა შემთხვევაში ადამიანმა დიდის მოხერხებითა და ჭკუით უნდა იმოქმედოს და თქვენ ყველანი-კი, ბოდიშს ვიხდი.. მორეული სისხლი გალაპარაკებთ და არა დამჯდარი გონება, ხანგრძლივ და ყოველ მხრივ მოფიქრებული აზრი. ამისთანა დროს გველებრ ბრძნობა უნდა გამოიჩინოს კაცმა და ეს ხომ ჩემი ხელობაა... მშვიდობით (გადის. ოლგა შემოდის)

### X

ოლგა და ვოლინცევი

ოლგა. (უკანიდგან მიუახლოვდება და თავზედ აკოცებს) რა გინდოდა, ჩემო კარგო?

ვოლინც. აა, ოლიკო.. შენა... დაჯექი, ჩემო ტურფავ... რა უნდა მეთქვა შენთვის? ჰო... ანიკო როგორ არის?

ოლგა. იქ არის.. თავისას..

ვოლინც. ძალიან აღელვებულია?

ოლგა. (ცოტა ხნის სიჩუმეს შემდეგ) ძალიან. (სიჩუმე)

ვოლინც. რა უნდა ჰქმნას აქ კაცმა, თავი მიბჟუის და სულ ვერა მომიფიქრებია რა.

ოლგა. მე კი თითქმის მოხარული-ც-კი ვარ, რომ ამ გამოურკვეველს მდგომარეობას ბოლო მოეღო. ჩვენთაგანმა ერთ-ერთმა უნდა დაუთმოს მეორეს ალაგი, ან იმან და ან მე

ვოლინც. როგორ თუ შენ? რას ამბობ, ოლიკო?

ოლგა. ასე-კი უნდა მოხდეს-და.

ვოლინც. (წამოდგება და სტოლს მუშტს დაჰკრავს) არასოდეს! გაგიჟდი, თუ რა დაგემართვია! ვინ არის ის ჩემი? ცოლი? არა, ცოლი არ არის, კანონის მხრივაც რომ გავსაჯოთ ხუთი-კი არა, თორმეტი წელიწადია, რაც ის ჩემს სახელს დაათრევს აქეთ-იქით? დედაა ჩემის ქალისა? შენ ბევრი რამ კიდევ არ იცი, ოლგა. სამის წლისა არ იყო ანიკო, რომ ეგ დედაკაცი მორთავდა ხოლმე ტიკინსავით, თმებს დაუკულულებდა და ყველგან დაათრევდა პაწია გოშიასავით. სახლში-კი ერთხელ ისტერიკის დროს კინაღამ არა სცემა ყმაწვილს, ხელსა ჰკრავდა თურმე და თან გაიძახოდა, რომ ალერსი და სიცილი ვერ ამიტანია იმ კაცის ყმაწვილისა, რომელიც მძაგს და მძულსო. ეს ამბავი მე ბოლოს შევიტყე, მაშინ, როდესაც ჩემის შერცხვენის ამბავიც გამაგებინეს. რა ტანჯვა არ გამოვიარე, რა არ გამოვცადე, რომ იცოდე.

ოლგა. საბრალო...

ვოლინც. და ეხლა-კი მობრძანდება აქა... რისთვის? რა უნდა? ფულის მოლოდინი არა აქვს, კარგად იცის, რომ ყველაფერი მივეცი, ყველაფერი, რაც-კი მომეძებნებოდა, ოღონდ-კი დათანხმებულიყო და გავეთავისუფლებინე. აქ თავისს ჩვეულებრივს კომედიასა თამაშობს... ეგ ისეთი დედაკაცია, რომ მთელი სიცოცხლე სათამაშოდ გაუხდია თავისი და სხვისი თავი, თავისი და სხვისი პატიოსნება, თავისი და სხვისი ბედნიერება. თუ ასე არ ითამაშა, მაგას სიცოცხლე და გაძლება არ შეუძლიან. შეუტყვია, რომ ტკბილი ცხოვრება გვაქვს, იცის, რომ ანიკო აქამდე გაიზრდებოდაო, და გაჰღვიძებია წყეული ჟინი ვნებათა ღელვის გამოცდისა და გამოვლისა, დრამის ნახვისა, აშფოთებისა და აძგერებისა, ყოველ იმისა, რითიც სიცოცხლე მომიშხამა და მომიწამლა... ოჰ, ვიცნობ მე იმას, შორიდგანვე ვხედავ, რასაცა ჰფიქრობს და რაცა აქვს განზრახული. მაშ გამიგონე, ოლიკო: მე კეთილი კაცი ვარ, გულ-ჩვილი... მაგრამ თუ დავინახე, რომ იმისი მოკვლა იქნება საჭირო, მოვკლავ კიდეც. ვერც შენს თავს და ვერც ანიკოსას იმას ვერ ვანაცვალებ... ისიც ეყოფა, რაც აქამდე დამმართა, კმარა... მშვიდობით... იმასთან მივდივარ.

ოლგა. მოიცა... ამ საქმის გადამწყვეტელნი ჩვენ არა ვართ.

ვოლინც. მაშ ვინ არის?

ოლგა. ვინა-და, ანიკო.

ვოლინც. რაო?! რატომაო?

ოლგა. იმიტომ რომ ანიკოა იმის ძალა და ღონე, ანიკოს ხელშია ჩემი უბედურება. იმას უფლება აქვს სთქვას, რომ ისევ ისა სჯობია დედიჩემის ადგილი ცარიელი იყოს და სხვას-კი არ ეჭიროს, სხვას, მოამაგე და მოსიყვარულე დედაკაცსაო... ხომ იცი... დედაჩემს პირდაპირ ვუთხარი, რომ მიყვარს და უიმისოდ გაძლება არ შემიძლიან-მეთქი... გული მიგრძნობდა, რომ მართალი ვიყავ, რადგან უმართალოდ სიყვარული შეუძლებელია... არავის განსჯისა არ მეშინოდა... მაგრამ ანიკოს-კი აქვს უფლება ამ საქმის განსჯისა... და განსჯის კიდეც. (დიდის გაჭირვებით იტყვის ამ სიტყვებს, ბოლოს სულს ვეღარ მოითქვამს და სავარძელში ჩაიქცევა. ვოლინცევი სდგას უძრავად და თვალებზე ხელები აქვს აფარებული)

(დასასრული პირველ მოქმედებისა)

—რ-ანი

ბრუნება დამგვიანდა და იმათისას დავრჩი ღამე. ზამთარშიაც ვიყავი იმათს სახლში, მაგრამ სტრუმენტოვი მაშინ ავად არა ყოფილა. იმ ღამეს-კი პრალდებული საწოლზედ იწვა და კოვალენკოვისამ მითხრა, რომ ავად არის, ფეხს იტკიებსო. გამომძიებელს ისე ჩაუწერია, ვითომ მე მეთქვას, რომ ზამთარში იყო ავად პრალდებული და შემოდგომაზედ კარგადაო, მაგრამ არ ვიცი რად მოუხდარა ასე, რადგან მაშინაც სწორედ ისე ვსთქვი, როგორც ეხლა, გამომძიებელს აურევია ჩემი ჩვენება და ისე ჩაუწერია.

(შემდეგი იქნება)

◆◆

## წვრილი ამბები

ინგლისის პოეტი ტენნისონი ამ აგვისტოს თვეში სწორედ 80 წლისა შესრულდა თურმე. სხვათა მილოცვათა და დეპეშათა შორის ტენნისონს ინგლისის დედოფლისაგანაც მიუღია მილოცვის დეპეშა.

— მაინის ფრანკფურტში 9 სექტემბერს კრება ჰქონიათ გერმანიის მწერლებს და სხვათა შორის შემდეგი უმთავრესი საგნები განუხილავთ: 1) რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ გამომცემლებს და თანამშრომლებს ჟურნალებისა და გაზეთებისას ერთმანეთში და რა იურიდიულს მდგომარეობაში უნდა იყვნენ უკანასკნელნი; 2) რა უფლება უნდა ჰქონდეს ავტორს საგაზეთო წერილისას და 3) როგორ უნდა მოუხერხდეთ პენსია ღარიბ ჟურნალისტებს.

— საფრანგეთის სამხედრო სამინისტრომ განიზრახა ამას წინად მერცხლებიც გამოეყენებინა სამხედრო საქმეში და ამ პაწია ფრინველებისათვის დეპეშები და წერილები ეტარებინებინა აქეთ-იქით. აი ეხლა პარიჟის გაზეთები რა საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემენ იმისას, თუ როგორა სწვრთვნის მერცხლებს რუბეში ვიღაც დებუ[illegible]. დებუური გამოუკვლევია, რომ მერცხლები ზაფხულის დამლევს ისე სიცივის შიშით არა შორდებიან ჩვენს ქვეყანას, როგორც საჭმლის უქონლობის გამოვო. მერცხალი მწერებსა სჭამს და შემოდგომაზედ-კი საჭმელს ველარა შოულობსო. დებუური მერცხლებისთვის დაუბანდებია მთელის სართულის ნახევარი და საჭმელიც უშოვნია, მაგრამამ საჭმელს ჯერ-ჯერობით ჰფარავს და არავის უმხელს. გასაწვრთვნელად იგი ბარტყებსა ჰშოულობს. ოცში თორმეტი სწავლობს თურმე მოგზაურობას და დანარჩენს-კი ჰყიდის. ყოველ მგზავრობის მცოდნე მერცხალს ფეხზედ აბრეშუმის ძაფი აბია. დებუურის ცალკე დავთარში აქვს ჩაწერილი მერცხალთა წლოვანება და ღირსება. გაწვრთნილი მერცხლები უკანვე ბრუნდებიან და საჭმელს თვით დებუურის ხელიდგან სჭამენ. თვით გაუწვრთნელი მერცხალიც-კი 90 კილომეტრს დადის თურმე 90 წუთში. დებუურის იმედი აქვს, ჩემს დაწყობილებას სამხედრო სამინისტრო ძალიან მოიწონებს, რადგან მერცხალი უფრო ადვილად გაუსხლტება მტრის ტყვიას, ვიდრე მტრედიო.

— პარიჟის კედლებზე ამ ჟამად შემდეგის შინაარსის განცხადებებია თურმე გამოკრული: „სირაჯთა და ღვინით მოვაჭრეთა კრებული უცხადებს მკვიდრთ, რომ ახლად გამოცემულის კანონის ძალით ყველა სირაჯმა ჯარიმა უნდა გადიხადოს, თუ არ გამოაცხადებს, რომ ჩემს ღვინოში ამდენი შაქარი და ამდენი ქიმიაში ურევიაო. ამასობაში ჩვენ თითონ, სირაჯებმა, კარგად არ ვიცით რა ურევია იმ ღვინოში, რომელსაცა ვყიდით. ამიტომ ყველა სირაჯსა ვთხოვთ, რომ თავისს დუქანში შემდეგი განცხადება გამოაკრას: „ყველა ღვინოები, სასმელები და ლიქიორები, რომელიც-კი ამ დუქანში იყიდება, ნარევიაო“.

◆◆

## დეპეშა

23 აგვისტო

პეტერბურგი. „Нов. Вр.“ იუწყება, რომ ფრედენმორგის ციხე-დარბაზში, კოპენჰაგენს ახლოს, სადაც ეხლა იმყოფება ხელმწიფე იმპერატორი უავგუსტოესის სახლობით, სექტემბერში თავს მოიყრიან სტუმრები დანიის მეფე-დედოფლისა, მათ შორის: დედოფალი საბერძნეთისა თავის შვილებით, პრინცესა ალექსანდრა უელსისა თავის შვილებით და დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ.

გუშინ საღამოს მოვიდა საზღვარგარეთიდამ პეტერგოფს დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული, ჰერცოგინია ედინბურგისა.

პეტერგოფს მყოფი დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული თანდათან უკეთა ჰგრძნობს თავს.

ოდესა. ორშაბათს პირდაპირ ვაგონებიდამ დატვირთეს გემები დონის ქვა-ნახშირით. წინად სხვა წესით ტვირთავდნენ რეიდზე და ძვირადა ჯდებოდა. ამბობენ, რომ მარიუპოლის პორტის გამართვა ინგლისურს ქვა ნახშირს აღარ გააჭაჭანებს შავის ზღვის ნაპირებზეო.

ლონდონი. ლონდონში მუშებს ჯერ კიდევ პირი აქვთ შეკრული და არ მუშაობენ. ლივერპულის დოკებში-კი მუშებმა კვლავ დაიწყეს მუშაობა, რადგანაც დოკების პატრონებმა შეუსრულეს თხოვნა მუშებს.

პეტერბურგი. დღეს წავიდა კოვნოს სამხედრო მინისტრი.

პეტერბურგის ბირჟა, 22 მარიამობ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 62 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | 153 | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 264½ |
| — მეორისა | — „ | — „ | 244¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი


იყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ

---

ახალი წიგნი

„მიბაძვა ქრისტესი“

თხზ. თომა კემპელისა

იყიდება ტფილისში — „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში — ძმ. ჰილაძეებისა და ძმ. წერეთლების მაღაზიებში, ბათუმში — მოსე ნათაძესთან, გორში — არ. კალანდაძისა და ნ. ზარიძის სტამბაში, ცხინვალში — ქეთევან ჟურულისას, ახალციხეს — მღვდელ გვარამაძესთან, ხონში — ძმ. წერეთლების მაღაზიაში.

ფასი წიგნისა ყდითა და ორის სურათით — 70 კაპ., უყდოდ და უსურათოდ 40 — კაპ.

საწყობი წიგნისა გორშია, არ. კალანდაძისა და ნ. ზარიძის სტამბაში. (5—1)

---

მცხეთის დედათა მონასტერში დაარსდა ახალი ოთხ-კლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელშიაც პროგიმნაზიული სწავლა იქნება დაახლოვებით პროგიმნაზიისავე პროგრამით. სასწავლებელთანვე დაარსებულია მოსამზადებელი კლასი. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბრიდგან.

სასწავლებელში გამართულია პანსიონი. პანსიონში შემსვლელთათვის დანიშნულია ფასი პირველ წლიწადს თორმეტი თუმანი, ხოლო შემდეგს წლებში — ათ-ათი თუმანი. გარეშე მოსიარულეთათვის სწავლების ფასი თხუთმეტი მანეთია. სასწავლებელში შესვლის მსურველებმა ანუ იმათმა მშობლებმა უნდა მიჰმართონ მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარს და თხოვნასთან ერთად წარადგინონ წლოვანების მოწმობა და აცრის ქაღალდი. თვით პროგრამმა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

პირველ წლობით მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი კლასია დაარსებული. (10—8)

---

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თვეში 10 მან., სახლში აყვანილნი — 30 მანათს. მიხეილის ქუჩაზე, კუკიაში, სახლი № 108 (50—34)

---

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა

(თვით ღირსის მარიამის სურათითურთ)

ფასი ორი შაური.

ვინც ბევრს ერთად დაიბარებს ამ წიგნს „ქართულ სალმრთო წიგნთ-საკითხავიდგან“, იმას გზის ხარჯი არ გამოერთმევა. „ქართული სალმრთო წიგნთ-საკითხავი“ იმყოფება: ბაზრის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლში, № 11, სადგომი № 14. ამ „წიგნთ-საკითხავში“ ყოველგვარ სალმრთო წიგნების კითხვა შეიძლება უფასოდ ყოველ დღე, ნაშუადღევის 4 საათიდგან 9-მდე. ვინც რომელისამე წიგნის სხვაგან წაღებას მოისურვებს, გირაოდ უნდა დასტოვოს წიგნის ფასი.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ | 6 თვით | 6 მ. — კ |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თვეს განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

---

დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

იყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი — თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა, — ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა, — სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.


Доз. ценз. Тифлисъ 24-го Августа 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე